N 04/205
13/10/2022

ბრძანება

205-01-4-202210131544

გადაწყვეტილება

2022 წლის 15 აგვისტოს №01/1464 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1 პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1 მომჩივანის პოზიცია

2022 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა შპს „სოფთლაინ საქართველოს“ (ს/კ: 404867998) საჩივარი (რეგ. №01/1464), უკრაინული კომპანია შპს „ბაკო ტექის“ (ს/კ 38689290) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) 11^3 მუხლის (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 20 მარტს მომჩივანსა და მოპასუხეს შორის დაიდო „გადაყიდვის შესახებ“ (reseller agreement) ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მომჩივანი განისაზღვრა მოპასუხის პროდუქციის არაექსკლუზიურ გადამყიდველად და მას მიენიჭა აღნიშნული პროდუქციის გადაყიდვის უფლებამოსილება საქართველოს მთელი ტერიტორიის მასშტაბით. მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხესთან თანამშრომლობის სრულ პერიოდზე იგი ჯეროვნად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც მოპასუხის პროდუქცია შეიძინა არაერთმა საბოლოო მომხმარებელმა, მათ შორის შპს „კრისტალმა“ (ს/კ: 212896570).

მომჩივანი განმარტავს, რომ 2022 წლის 15 ივნისს მან მიმართა მოპასუხეს, ერთ-ერთი საბოლოო მომხმარებლისათვის (შპს „კრისტალი“) ლიცენზიების ვადის განახლების თხოვნით, რის პასუხადაც, 2022 წლის 5 ივლისს მოპასუხისგან მიიღო უარი თანამშრომლობაზე. უარის მიზეზს წარმოადგენდა, მომჩივანის შესაძლო კავშირი რუსეთის ფედერაციასთან. მიუხედავად მომჩივანის წერილობითი განმარტებისა,

მოპასუხე უთითებდა მომჩივან კომპანიასთან შესაძლო კავშირის მქონე ორ პირზე - ი. ბ.-სა და ს. ჩ.-ზე, როგორც რუსეთის ფედერაციასთან აფილირებულ პირებზე.

მომჩივანი აგრეთვე მიუთითებს, რომ 2022 წლის 11 ივლისს, მოპასუხე მისი გვერდის ავლით პირდაპირ დაუკავშირდა ზემოხსენებულ საბოლოო მომხმარებელს (შპს „კრისტალი“), დასდო მას ბრალი რუსეთის ფედერაციასთან კავშირში და აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს (საბოლოო მომხმარებელს) შესთავაზა ალტერნატიული დისტრიბუტორი კომპანია თავისი პროდუქციის მისაწოდებლად.

მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ შპს „სოფთლაინ საქართველო“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის პარტნიორებიც არიან რევაზ ურუშაძე (საქ. მოქალაქე) და კომპანია SOFTLINE HOLDING PLC (HE 242943). იგი განმარტავს, რომ თანადამფუძნებელი პარტნიორი კომპანია არის კვიპროსში რეგისტრირებული საზოგადოება, რომელიც ოპერირებს 60-ზე მეტ ქვეყანაში, ხოლო მისი სათავო ოფისი მდებარეობს ქ. ლონდონში და არ არის დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან. ამასთან, იმ პირებთაგან, რომელზეც უთითებს მოპასუხე, ერთ-ერთი - ი. ბ. არის პორტუგალიის რეზიდენტი, ხოლო მეორე პირი - ს.ჩ. დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს წარმოადგენს. მომჩივანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დამფუძნებელი პარტნიორი კომპანიის არცერთი დირექტორი, ადმინისტრაციის წევრი თუ ხმის უფლების მქონე პარტნიორი არ წარმოადგენს აშშ-ს, ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ დასანქცირებულ პირს, რომელთაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ რუსეთის ფედერაციასთან.

მომჩივანი საბოლოოდ მიუთითებს, რომ 10 წელზე მეტია ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და სარგებლობს მაღალი პროფესიული რეპუტაციით, თანამშრომლობს არაერთ წამყვან კომპანიასთან და ჰყავს მრავალი კლიენტი. მომჩივანის მოსაზრებით, მოპასუხე, რომელიც ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ეჭვქვეშ აყენებს მის რეპუტაციას, მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას, რაც ნეგატიურად აისახება მომჩივანის ეკონომიკურ საქმიანობაზე, მის ურთიერთობაზე თავის მომხმარებლებთან და უმსხვილეს კომპანიებთან.

ამდენად, მომჩივანის შეფასებით, ადგილი აქვს უკრაინული კომპანია შპს „ბაკო ტექის“ მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, რაც გამოიხატება ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვაში (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნაში), მის უსაფუძვლო კრიტიკასა ან დისკრედიტაციაში (კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი“), აგრეთვე ბოიკოტისკენ მოწოდებაში (კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი“).

1.2 მოპასუხის პოზიცია საჩივარში დასმულ საკითხებთან მიმართებით

სააგენტოს 2022 წლის 18 აგვისტოს წერილით (რეგ. №02/759) საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ უკრაინულ კომპანია შპს „ბაკოტექს“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2022 წლის 16 სექტემბერს (რეგ: №01/1660) სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხის პოზიციით, უშუალოდ იგი არ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და მისი განმარტებით, შპს „სოფთლაინ საქართველო“ არის რუსეთის ფედერაციასთან კავშირში მყოფი კომპანია, რის დამადასტურებლადაც აღნიშნავს, რომ სოფთლაინის კომპანია დაფუძნებულია ქ. მოსკოვში (რუსეთის ფედერაცია) 1993 წელს, ხოლო ზემოთ ნახსენები პირები - ი.ბ. და ს.ჩ. არიან SOFTLINE HOLDING PLC-ის დირექტორები, რომლებიც იმავდროულად არიან SOFTLINE RUSSIA-ს ტოპ მენეჯერები[1].

მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივანი - შპს „სოფთლაინ საქართველო“ ახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების გადაყიდვას საბოლოო მომხმარებლებზე, ხოლო უკრაინული კომპანია შპს „ბაკო ტექი“ არის აღნიშნული პროდუქტების უცხოური ბაზრიდან დისტრიბუტორი კომპანია, რომელიც ახდენს ამ პროდუქტების საბითუმო გადაყიდვას. მოპასუხე აგრეთვე აღნიშნავს, რომ იგი არ არის მომჩივანის კონკურენტი, რადგან თითოეული კომპანია ოპერირებს სხვადასხვა, როგორც სამომხმარებლო, ასევე გეოგრაფიულ ბაზარზე, კერძოდ მოპასუხე ეწევა პროგრამული უზრუნველყოფის საბითუმო დისტრიბუციას უკრაინის ბაზრიდან, ხოლო მომჩივანი ახორციელებს საქართველოს ბაზარზე აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის საცალო გადაყიდვას საბოლოო მომხმარებლებისათვის.

მოპასუხე აგრეთვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შპს „ბაკო ტექის“ მიერ იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც უკავშირდება მომჩივანის რუსეთის ფედერაციასთან კავშირს, არ ყოფილა სისტემატიური ხასიათის და იგი ადასტურებს, რომ აღნიშნული ხასიათის ინფორმაცია გაეგზავნა მხოლოდ ერთხელ და ერთ საბოლოო მომხმარებელს, კერძოდ შპს „კრისტალს“.

1.3. _მომჩივანის დამატებითი პოზიცია

სააგენტომ 2022 წლის 2 სექტემბერს №02/791 წერილით დამატებით მიმართა მომჩივანს გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, მათ შორის მოთხოვნილ იქნა

[1] https://softline.ru/about/whoiswho

შემდეგი ფაქტობრივი გარემოების დაზუსტება: 2018 წლის 20 მარტის „გადაყიდვის ხელშეკრულება“, დადებული იყო 3 (სამი) წლის ვადით. შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან მოთხოვნილ იქნა დაზუსტება, რა სამართლებრივი და ფაქტობრივი მოცემულობა არსებობდა 2021 წლის 20 მარტის შემდგომ, როდესაც ზემოხსენებულ ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა. აღნიშნულის პასუხად მომჩივანმა 2022 წლის 13 სექტემბრის №01/1624 წერილით წარმოადგინა ინფორმაცია, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მხარეთა შორის ურთიერთობა გაგრძელდა ფაქტობრივად და დამატებით წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

მომჩივანს აგრეთვე ეთხოვა, დაეზუსტებინა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეს წარმოადგენდა SOFTLINE HOLDING PLC (HE 242943)-ის ერთ-ერთი დირექტორი ი.ბ. და მომჩივანმა დაადასტურა, რომ აღნიშნული პიროვნება გახლდათ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 23 სექტემბერს №01/1691 წერილით მომჩივანმა წარმოადგინა დამატებითი პოზიცია, მოპასუხის მიერ საჩივრის თაობაზე წარმოდგენილ არგუმენტაციასთან მიმართებით. მომჩივანი არ ეთანხმება მოპასუხის პოზიციას იმ ნაწილში, რომ იგი არ ოპერირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მომჩივანი აღნიშნავს, რომ „ბაკო ტექის“ ქსელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველო მითიებულია, როგორც ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც ფარავს კომპანია და საქართველოსათვის საკონტაქტო ოფისს სწორედ უკრაინა წარმოადგენს.

მომჩივანი, აგრეთვე აღნიშნავს, რომ მხარეები სხვადასხვა მიმართულებით არ ოპერირებენ, მაგრამ იგი ადასტურებს, რომ შპს „სოფთლაინ საქართველო“ ახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფის, ლიცენზიების, თანმდევი მხარდაჭერისა და კომპიუტერული პროდუქციის მიწოდებას უშუალოდ საბოლოო მომხმარებლებისათვის, ხოლო უკრაინული კომპანია „ბაკო ტექი“ აღნიშნული საქონლის/მომსახურების მიწოდებას ახორციელებს გადამყიდველებისათვის.

მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ 2022 წლის 11 ივლისს მოპასუხის მიერ მომხმარებლისათვის (შპს „კრისტალი“) გაგზავნილმა წერილმა, ეს უკანასკნელი შეიყვანა შეცდომაში და შეუქმნა არასწორი შეხედულება მომჩივანზე. გარდა ამისა, მას შეეზღუდა წვდომა ლიცენზიაზე, რომელსაც იყენებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხოლო აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ ალტერნატივად, მოპასუხემ შესთავაზა ახალი კომპანიის დახმარებით სარგებლობა, რითაც პრაქტიკულად შეეზღუდა მას არჩევანის თავისუფლება. მომჩივანი აღნიშნავს, რომ მოპასუხე მოქმედებდა სრულიად სხვა მიზნებით -ერთი მხრივ შეელახა კომპანიის იმიჯი, რაც საბოლოოდ მისი რეპუტაციის შელახვას გამოიწვევდა, ხოლო მეორე მხრივ, საბოლოო მომხმარებლისათვის შეეთავაზებინა ალტერნატიული კომპანია, რათა გაეგრძელებინა ოპერირება საქართველოს ბაზარზე.

1.4. შპს „კრისტალის“ პოზიცია

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა, საბოლოო მომხმარებელთან - შპს „კრისტალთან“ დამატებით დაეზუსტებინა რიგი საკითხები. შესაბამისად, სააგენტოს 2022 წლის 20 სექტემბრის №02/839 წერილით კომპანიისგან გამოთხოვილ იქნა რიგი ინფორმაცია, კერძოდ რომელი პერიოდიდან და კონკრეტულად რა საქონელს/მომსახურებებს იღებდა შპს „სოფთლაინ საქართველოსგან“, აგრეთვე შპს „სოფთლაინ საქართველოსგან“ მიღებული საქონლის/მომსახურებების უცხოური ბაზრიდან მიმწოდებელი (იმპორტიორი) კომპანია წარმოადგენდა უკრაინულ შპს „ბაკო ტექს“ თუ ჩეხეთში რეგისტრირებულ კომპანია BAKOTECH s.r.o-ს?

აგრეთვე, აღნიშნული ეკონომიკური აგენტის მხრიდან მოთხოვნილ იქნა იმის დაზუსტება, რომ მათი შეკვეთის განახლების მიზნით, გააგრძელეს თუ არა ზემოხსენებულ კომპანიასთან თანამშრომლობა და თუ არ გაგრძელებულა ასეთი თანამშრომლობა, ვისგან მიიღეს შესაბამისი მომსახურება. ასევე, კომპანიას ეთხოვა მოეწოდებინა სააგენტოსათვის შემდგომი თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შპს „კრისტალის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი 2022 წლის 3 ოქტომბრის №01/1773 კორესპონდენციით დაზუსტდა, რომ ამ უკანასკნელმა მომჩივანისგან 2018 წელს შეიძინა ვებ აპლიკაციების ფაირვოლი (WAF) სახელწოდებით F5. 2022 წლამდე აღნიშნული პროდუქტის მხარდაჭერის ლიცენზიას (და სხვა სერვისებსაც) მომხმარებელი იძენდა მომჩივანისგან.

რაც შეეხება, შპს „სოფთლაინ საქართველოსგან“ მიღებული საქონლის/მომსახურებების უცხოური ბაზრიდან მიმწოდებელ (იმპორტიორ) კომპანიას, შპს „კრისტალმა“ განმარტა, რომ ასეთ კომპანიას წარმოადგენდა უკრაინული შპს „ბაკო ტექი“.

საბოლოოდ, შპს „კრისტალმა“ დაადასტურა, რომ მათი მხრიდან მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან გაგრძელდა თანამშრომლობა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა განხორციელდა არა პირდაპირ მოპასუხე უკრაინული კომპანიისაგან, არამედ მათ მიერ შემოთავაზებული საქართველოს ბაზარზე ოპერირებადი გადამყიდველი კომპანიის (შპს „UGT”) მეშვეობით, რომლის დამადასტურებელი ხელშეკრულება თან ერთვის ზემოხსენებულ წერილს.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

კანონის 11^3 მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის მოქმედების სფერო

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

ხაზი უნდა გაესვას, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით; შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო უფლებამოსილი არ არის განიხილოს საკითხი, ამ საკითხის შინაარსობრივი ანალიზი აღარ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე. შპს „სოფთლაინ საქართველოს“ საჩივარში საუბარია კანონის 11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა:

ა) კანონის 11³ მუხლით დადგენილი პირობების ერთობლივად არსებობა; [2] [3]

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილება.

კანონის 11³ მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ეს მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებსაც, რომელიც კანონში 2020 წლის 4 ნოემბრიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, წარმოადგენს სამაგალითო (და არა ამომწურავ) ჩამონათვალს[4]. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სავარაუდო დარღვევის შემადგენლობა, რომელსაც მომჩივანი მხარე სადავოდ ხდის, უშუალოდ მოცემულია ხსენებულ ჩამონათვალში („გ“ და

[2] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 17 თებერვლის №04/9 გადაწყვეტილება (შპს „საქართველოს ფოსტა“ შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების“ წინააღმდეგ), გვ. 10.

[3] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 30 სექტემბრის №04/135 ბრძანება („სადაზღვევო კომპანია უნისონი“ „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ წინააღმდეგ), გვ. 10;

[4] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანება შპს ,,ეს.ი.ეი შპს „ბი ეს თის“ წინააღმდეგ), გვ. 19;

„ზ“ ქვეპუნქტები). ამდენად, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

ა) ქმედების არსებობა;

ბ) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;

გ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

დ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა.“[5]

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ ასევე, იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“ (მუხლი 2(a)).[6]

3.2. სააგენტოს შეფასება

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.[7]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე **სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ კანონის 11³ მუხლით დადგენილი ერთ-ერთი პირობის - „ქმედება, რომელიც უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს“ არსებობა/არარსებობის დადგენაზე, რადგან საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მიუთითებს იმას, რომ მომჩივანი და მოპასუხე არ წარმოადგენენ შესაბამის ბაზარზე მოქმედ ერთმანეთის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს,** შემდეგ გარემოებათა გამო:

<u>**მხარეთა შორის 2018 წლის 20 მარტს დადებული „გადაყიდვის შესახებ“ (reseller agreement) ხელშეკრულება**</u>

როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოპასუხის მიერ შპს „სოფთლაინ საქართველოსათვის“ მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების გადაყიდვა საქართველოს ბაზარზე, რომლის ფარგლებშიც შპს „სოფთლაინ საქართველო“ დაინიშნა მიმწოდებლის არა-ექსკლუზიურ გადამყიდველად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.[8] შედეგად, „გადამყიდველს“

---

[6] ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186, 2016 წლის 28 მარტის №41 და 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

[7] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II”), გვ. 10.

[8] მხარეთა შორის 2018 წლის 20 მარტს დადებული „გადაყიდვის ხელშეკრულების“ 2.1. პუნქტი.

შეეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის გაყიდვა მხოლოდ საბოლოო მომხმარებლებზე და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მიმწოდებელი აღნიშნული პროდუქტის მიწოდებას ახორციელებდა მხოლოდ გადამყიდველის მიმართ უკრაინის ბაზრიდან, რაც უდავოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მხარეები, ერთი მხრივ, ოპერირებდნენ განსხვავებული ბაზრის დონეზე (მომჩივანი - საცალო დონეზე, ხოლო მოპასუხე - საბითუმო დონეზე), ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა გეოგრაფიულ საზღვრებში (მომჩივანი - საქართველოს საზღვრებში, ხოლო მოპასუხე - უკრაინის საზღვრებში).

გარდა ამისა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაცია ნათლად ადასტურებს, რომ მათ მიერ გაყიდვების 100% შესრულებულია პარტნიორული არხების მეშვეობით[9], რაც ამყარებს ზემოხსენებულ მსჯელობას იმ კუთხით, რომ მოპასუხე უშუალოდ არ ოპერირებს საქართველოს გეოგრაფიულ ბაზარზე და არ ახორციელებს საცალო გაყიდვებს ამავე ბაზარზე.

<u>2018 წლის 20 მარტს დადებული „გადაყიდვის შესახებ“ (resellerr agreement) ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომი სამართლებრივი ურთიერთობები</u>

სააგენტოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ (მისი ძალაში შესვლიდან 3 წელი, ამავე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის შესაბამისად) მხარეთა შორის ურთიერთობა გაგრძელდა ფაქტობრივად, აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2021 წლის მარტის თვიდან 2022 წლის ივლისის თვემდე, მხარეები კვლავ ანალოგიური პირობებით თანამშრომლობდნენ, რაც თავის მხრივ ხორციელდებოდა განსხვავებული ბაზრის დონეზე და განსხვავებულ გეოგრაფიულ საზღვრებში.

ამასთანავე, შპს „კრისტალის“ მიერ სააგენტოში 2022 წლის 3 ოქტომბერს წარმოდგენილ №01/1773 წერილში მითითებული ვებ-აპლიკაციების ფაირვოლის (WAF) სახელწოდებით F5-ის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.f5.com) გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ 2022 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით საქართველოში აღნიშნული პროდუქციის ერთადერთ დისტრიბუტორ კომპანიას წარმოადგენს უკრაინული კომპანია შპს „ბაკო ტექი“, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ამ პროდუქციის გადამყიდველია ქართული კომპანია შპს „UGT”[10].

აღნიშნულს დამატებით ადასტურებს ის გარემოება, რომ შპს „სოფთლაინ საქართველოსთან“ პარტნიორული ურთიერთობის გაწყვეტისა და საქართველოში მოქმედი საბოლოო მომხმარებლებისათვის მომსახურების დაუყოვნებლივ გაწევის

[9] https://bakotech.com/ (მესამე აბზაცის ჩანაწერი)
[10] https://www.f5.com/partners/find-a-partner?partnerLocation=Georgia&partnerPage=1

საჭიროების მიუხედავად, შპს „ბაკო ტექმა“ თავად არ განახორციელა შპს „კრისტალისათვის“ მომსახურების გაწევა, ურთიერთობა დაამყარა სხვა ქართულ გადამყიდველ კომპანიასთან (შპს „UGT”) და ანალოგიური სქემით ახორციელებს მისთვის მომსახურების საბითუმო მიწოდებას, ისე, რომ არ აქვს შეხება საქართველოს ბაზარზე მოქმედ საბოლოო მომხმარებლებთან.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს „კონკურენტი ეკონომიკური აგენტის“ ცნების ლეგალური დეფინიცია, კერძოდ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კონკურენტი ეკონომიკური აგენტი განმარტებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი.

თავის მხრივ, კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილია „შესაბამისი ბაზრის“ დეფინიცია, კერძოდ აღნიშნული წარმოადგენს - საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფეროს გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.

საქმის მასალებში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **მომჩივანისთვის შესაბამის ბაზარს წარმოადგენს მოპასუხისგან იმპორტირებული პროდუქციის საცალო გადაყიდვები საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მოპასუხისათვის, კონკრეტულ სადავო საკითხთან მიმართებაში, შესაბამისი ბაზრად იდენტიფიცირდება - შპს „სოფთლაინ საქართველოსათვის“ პროდუქციის საბითუმოდ მიწოდება უკრაინის ტერიტორიიდან.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მხარეები „გადაყიდვის ხელშეკრულებისა“ და შემდგომ გაგრძელებული ფაქტრობრივი ურთიერთობის პერიოდში იდენტურ შესაბამის ბაზარზე არ ოპერირებდნენ და შესაბამისად, კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, **მომჩივანი და მოპასუხე ვერ ჩაითვლებიან კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებად.**

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს 2016 წლის 28 მარტის №41 გადაწყვეტილებაში (შპს „დრანკ ოკტოპუსი“ და შპს „დრანკ ოკტოპუს დიტრიბუციას“ 2016 წლის 10 თებერვლის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ) განხილული აქვს „კონკურენტი ეკონომიკური აგენტის“ ცნება, სადაც სააგენტომ განმარტა: „მომჩივანი და მოპასუხეები არ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს, რადგან არ მოქმედებენ ერთსა და იმავე ბაზარზე, კერძოდ, მომჩივანი ახორციელებს ალკოჰოლური სასმელების იმპორტს, დისტრიბუციას და რეალიზებას, მაშინ როდესაც მოპასუხეები არიან მომჩივანის მიერ იმპორტირებული საქონლის მწარმოებლები.“.

ყოველივე ზამოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მტკიცებულებების და დამატებით მოძიებულ ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, **სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ მომჩივანის მიერ დასახელებული მოპასუხე უკრაინული კომპანია - შპს „ბაკო ტექი“ არ წარმოადგენს მის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს. შესაბამისად, აღნიშნული მოცემულობა არ ჯდება კანონის 11[3] მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციაში, კერძოდ სახეზე არ არის კანონის 11[3] მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთ პირობა - „ქმედება, რომელიც უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს“.**

მოცემულ შემთხვევაში, აღარ დგას მომჩივანის მხრიდან სადავოდ გამხდარი, კონკრეტული ქმედების შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის 11[3] მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული ზემოხსენებული ელემენტის არარსებობა უკვე შეუძლებელს ხდის ამ ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონტექსტში განხილვას და დარღვევის დადასტურებას.

შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმეზე მოკვლევის დაწყების სამართლებრივი საფუძველი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ან ახლადაღმოჩენილი/ახლადაგამოვლენილი გარემოების არსებობის პირობებში, ახალი საჩივრის საფუძველზე, ასევე, საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარგდენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი - მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „სოფთლაინ საქართველოს“ (ს/კ: 404867998) 2022 წლის 15 აგვისტოს №01/1464 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე